

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 20
(გამარტივებული შესყიდვა spv 90470000)

ქ. ფოთი

„ 07 “ მარტი 2019 წ.

ერთის მხრივ

შემსყიდველი - ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ ს/კ 215082764.

მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519;

დირექტორი: რევაზ ბაბილუა შემდგომში „შემსყიდველ“-ი

და მეორეს მხრივ

შპს „გელმარი“ ს/კ 215108087 მისამართი: იურ. მის: ქ. ფოთი. ჭანტურიას ქ. N 2 ტელ: + 995293227917;

ელ.ფოსტა. pot0077@gmail.com საბანკო რეკვიზიტი: ბანკის დასახელება: “ ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“ ბ/კ

UGEBGE22. ა/ა GE92VT0600000005303605 ; წარმოდგენილი მისი დირექტორის წარმომადგენლის გელა

ვადაქარიას (პ/N 42001002369. მინდ. ინდ. N 56669306645219. რეგ. თარიღი 2019 წლის 16 იანვარი. რეგ. N 190038953.)

(შემდგომში ”მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე

ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველ“-ს თავისივე საწვავით გაუწიოს საკანალიზაციო ჭის გაწმენდის მომსახურება ასენიზაციის მანქანით.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ადგილია ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. N 93.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 120.00 ლარს.

2.2 სახელშეკრულებო ღირებულება ითვალისწინებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. (მათ შორის საწვავ-საპოხი მასალებით გამართვის ხარჯებს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3 მომსახურების მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 14 მარტის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებელი“-ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ“-ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს ”მიმწოდებელს” ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

7.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს ღირს გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

8.2. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად..

8.5 “მიმწოდებელმა” “შემსყიდველის” წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს

8.6 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

შემსყიდველის მხრიდან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“-ს

დირექტორი:

რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან

შპს „გელმარი“ - ს

დირექტორის წარმომადგენელი:

გელა ვადაქარია